



დასაქმებულთა უბედური შემთხვევის დაზღვევის
ხელშეკრულება

თბილისი

2023 წ.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს დამზღვევსა და მზღვეველს შორის გაფორმებულ უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულებას. წინამდებარე ხელშეკრულების დადების შესახებ, მზღვეველის მიერ გაიცემა შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი - სადაზღვევო პოლისი და დაზღვევა განხორციელდება სადამზღვევო განაცხადის, წინამდებარე ხელშეკრულების, სადაზღვევო პოლისისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სადაზღვევო განაცხადი და სადაზღვევო პოლისი წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია. სადაზღვევო განაცხადი, წინამდებარე ხელშეკრულება და სადაზღვევო პოლისი წარმოადგენს ერთიან სადაზღვევო დოკუმენტს. სადაზღვევო პოლისისა და წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებს შორის წინააღმდეგობის (კოლიზია) შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება სადაზღვევო პოლისით განსაზღვრულ დებულებებს. ხელშეკრულება ძალაშია დამზღვევის მიერ სადაზღვევო განაცხადის შევსების და ხელმოწერის საფუძველზე დამზღვევისათვის გადმოცემული სადაზღვევო პოლისთან ერთად. სადაზღვევო განაცხადის და სადაზღვევო პოლისის გარეშე წინამდებარე ხელშეკრულებას იურიდიული ძალა არ გააჩნია. სადაზღვევო პოლისზე ხელმოწერით დამზღვევი ადასტურებს, რომ გაეცნო წინამდებარე ხელშეკრულების/სადაზღვევო პოლისის პირობებს და ეთანხმება მათ. სადაზღვევო პოლისზე ვრცელდება წინამდებარე ხელშეკრულების პირობები. წინამდებარე ხელშეკრულებაში დაცულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები უბედური შემთხვევის დაზღვევასთან დაკავშირებით, მათ შორის საქართველოს კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, 2018 წლის 27 ივლისის საქართველოს მთავრობის დადგენილება №381 „მომეტებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალის დამტკიცების თაობაზე“ და 2018 წლის 12 სექტემბრის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-11/ნ ბრძანება. ხელშეკრულებას თან ერთვის ორი დანართი:

Договор

о страховании несчастного случая работников

Тбилиси

2023 г.

Настоящий документ является Договором о страховании несчастного случая работников, оформленным между страхователем и страховщиком. О заключении настоящего Договора страховщик выдает соответствующий подтверждающий документ – страховой полис, и страхование осуществляется в соответствии со страховой заявкой, настоящим Договором, страховым полисом и законодательством Грузии. Страховая заявка и страховой полис являются неотъемлемой частью настоящего Договора. Страховая заявка, настоящий Договор и страховой полис являются единым страховым документом. В случае противоречия (коллизии) между страховым полисом и положениями настоящего Договора, преимущество придается положениям, предусмотренным страховым полисом. Договор вступает в силу на основании заполнения стоахователем страховой заявки и ее подписания вместе со страховым полисом, переданным страховщику. Без страховой заявки и страхового полиса, настоящий Договор юридической силы не имеет. Подписанием страхового полиса, страхователь подтверждает, что ознакомился с условиями настоящего Договора/страхового полиса и согласен с ними. На страховой полис распространяются условия настоящего Договора. В настоящем Договоре соблюдены требования, предусмотренные законодательством Грузии о страховании от несчастного случая, в том числе, закон Грузии «О безопасности труда», постановление Правительства Грузии от 27 июля 2018 года №381 «Об утверждении перечня работ, содержащих повышенную опасность, тяжелые, опасные и вредные условия труда», и приказ министра по делам беженцев с оккупированных территорий, труда, здравоохранения и социальной защиты от 12 сентября 2018 года №01-11/Н. Договор имеет два приложения:



დანართი N1 - დაზღვევის პირობები (დაზღვეულის/მოსარგებლის ვალდებულებები სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს); სადაზღვევო პოლისის დანართი N2 - დაზღვეულ პირთა სია (რეესტრი) - განახლებადი დოკუმენტი სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დაზღველთა რაოდენობის მიხედვით. 1. განმარტებები 1.1 მზღვეველი - რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ეწევა სადაზღვევო საქმიანობას და დამზღვევთან დებს წინამდებარე ხელშეკრულებას; 1.2 დამზღვევი (დამსაქმებელი) - სადაზღვევო პოლისში მითითებული ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც აფორმებს წინამდებარე ხელშეკრულებას მზღვეველთან და ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო პრემია და შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები; 1.3 დაზღვეული (დასაქმებული) - დამზღვევთან შრომით ურთიერთობაში მყოფი ფიზიკური პირი (დასაქმებული, შრომით ურთიერთობა დასტურდება წერილობითი შრომითი ხელშეკრულებითა და დამსაქმებლის მიერ განხორციელებული ხელფასის ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტებით), რომლის მიმართაც და რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევა; 1.4 მოსარგებლე - პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე იღებს სადაზღვევო ანაზღაურებას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში. უბედური შემთხვევის გამო გარდაცვალების შემთხვევაში, მოსარგებლე დაზღვეულის წინასწარ წერილობით დასახელებული პირი. ასეთის არარსებობის შემთხვევაში - მოსარგებლე დაზღვეულის მემკვიდრ(ე)ები. 1.5 დასაქმებული - ფიზიკური პირი, რომელიც შრომითი/შრომის ხელშეკრულების საფუძველზე, დამსაქმებლისათვის ასრულებს გარკვეულ სამუშაოს; 1.6 სამუშაო სივრცე (სადაზღვევო ტერიტორია) - ყველა სამუშაო ადგილისა და იმ ტერიტორიის ერთობლიობა,	Приложение N1 – условия страхования (обязательства застрахованного/пользователя при наступлении страхового случая); Приложение №2 к страховому полису – список застрахованных лиц (реестр) – обновляемый документ в течение страхового периода, по количеству застрахованных. 1.Толкования 1.1 Страховщик –которая, в соответствии с законодательством Грузии, занимается страховой деятельностью и заключает настоящий Договор со страхователем; 1.2Страхователь (наниматель) – физическое или юридическое лицо, указанное в страховом полисе, которое оформляет настоящий Договор со страховщиком и обязано оплатить страховую премию и выполнить другие обязательства, предусмотренные Договором; 1.3 Застрахованное лицо (работник) – физическое лицо, состоящее в трудовых отношениях со Страхователем (работник, трудовые отношения подтверждаются письменным трудовым договором и документами, подтверждающими зачисление заработной платы, осуществляемое работодателем), в отношении и в пользу которого осуществляется страхование, предусмотренное настоящим Договором; 1.4 Пользователь - лицо, которое, на основании законодательства Грузии, получает страховое возмещение в случаях, предусмотренных настоящим Договором. В случае смерти в результате несчастного случая, пользователь является лицом, предварительно, письменно названным застрахованным. В случае отсутствия такового, пользователем является наследник (наследники) застрахованного. 1.5 Работник – физическое лицо, которое на основании трудового договора, выполняет для нанимателя определенную работу; 1.6 Рабочее пространство (страховая территория) – совокупность всех рабочих мест и территории, где
--	---



სადაც დასაქმებული იმყოფება/გადაადგილდება სამსახურებრივი დანიშნულებით და რომლებსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ დამსაქმებელი აკონტროლებს; 1.7 ტერიტორიული ლიმიტი - საქართველოს ტერიტორია, გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა; 1.8 სამუშაო ადგილი – კონკრეტული ადგილი, სადაც დასაქმებული უშუალოდ ახორციელებს შრომით საქმიანობას; 1.9 უბედური შემთხვევა - გაუთვალისწინებელი, მოულოდნელი შემთხვევა, გამოწვეული თვალსაჩინო გარეგანი ფიზიკური ძალების ზემოქმედებით, რომელიც განაპირობებს დაზღვეულის ჯანმრთელობის დაზიანებას ან გარდაცვალებას. 1.10 სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევით გამოწვეული შესაძლებლობების მკვეთრად გამოხატული შეზღუდვა - უშუალოდ შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაო საათებში და ამასთან შრომითი საქმიანობის შესრულების პერიოდში (ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისას), რომელიც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი დოკუმენტაციით, უბედური შემთხვევის შედეგად გამოწვეული დაზღვეულის სხეულის დაზიანების ისეთი ხარისხი, რომელიც კვალიფიცირებულია როგორც შესაძლებლობების მკვეთრი შეზღუდვა ისეთი სამედიცინო დაწესებულების მიერ, რომელსაც მინიჭებული აქვს მოქალაქეთა შესაძლებლობის სტატუსის დადგენის უფლებამოსილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; 1.11 სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევით გამოწვეული შესაძლებლობების მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდვა - უშუალოდ შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების პერიოდში უბედური შემთხვევის შედეგად გამოწვეული დაზღვეულის სხეულის დაზიანების ისეთი ხარისხი, რომელიც კვალიფიცირებულია როგორც შესაძლებლობების მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდვა, ისეთი სამედიცინო დაწესებულების მიერ, რომელსაც მინიჭებული აქვს მოქალაქეთა შესაძლებლობის სტატუსის	находится/перемещается работник, выполняя служебные обязанности, и которые, прямо или косвенно, контролирует наниматель; 1.7 Территориальный лимит – территория Грузии, кроме оккупированных территорий; 1.8 Рабочее место – конкретное место, где работник непосредственно занимается своей трудовой деятельностью; 1.9 Несчастный случай – непредвиденный, неожиданный случай, вызванный воздействием наглядных, внешних физических сил, которые вызывают повреждение здоровья или смерть застрахованного. 1.10 Остро выраженное ограничение возможностей, вызванное несчастным случаем в рабочем пространстве – непосредственно в рабочее время, предусмотренное трудовым договором и, вместе с тем, при выполнении трудовой деятельности (при выполнении сверхурочной работы), что должно быть подтверждено соответствующей документацией, такая степень телесного повреждения застрахованного в результате несчастного случая, которая квалифицируется как острое ограничение возможностей таким медицинским учреждением, которому присвоены полномочия установления статуса возможностей граждан в соответствии с законодательством Грузии; 1.11 Значительно выраженное ограничение возможностей, вызванное несчастным случаем в рабочем пространстве – непосредственно во время осуществления деятельности, предусмотренной трудовым договором, такая степень телесного повреждения застрахованного в результате несчастного случая, которая квалифицируется как значительно выраженное ограничение возможностей таким медицинским учреждением, которому присвоены полномочия установления
--	--



დადგენის უფლებამოსილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

1.12 სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევით გამოწვეული შესაძლებლობების ზომიერად გამოხატული შეზღუდვა - უშუალოდ შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაო საათებში და ამასთან შრომითი საქმიანობის შესრულების პერიოდში (ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისას), რომელიც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი დოკუმენტაციით, უბედური შემთხვევის შედეგად გამოწვეული დაზღვეულის სხეულის დაზიანების ისეთი ხარისხი, რომელიც კვალიფიცირებულია როგორც შესაძლებლობები ზომიერად გამოხატული შეზღუდვა, ისეთი სამედიცინო დაწესებულების მიერ, რომელსაც მინიჭებული აქვს მოქალაქეთა შესაძლებლობის სტატუსის დადგენის უფლებამოსილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

1.13 ზედამხედველი ორგანო - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმების განმახორციელებელი სამსახური;

1.14 დასაქმებულთა წარმომადგენელი - პირი, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი დამზღვევთან დასაქმებულების (დაზღვეული) ინტერესებს შრომის უსაფრთხოების საკითხებში;

1.15 ინდივიდუალური დაცვის საშუალებები - ტექნიკური და სხვა საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ინდივიდუალურად, დასაქმებულზე საფრთხის შემცველი ფაქტორების გავლენის შესამცირებლად ან თავიდან ასაცილებლად;

1.16 კოლექტიური დაცვის საშუალებები - ტექნიკური და საინჟინრო საშუალებების ერთობლიობა, რომლებიც კონსტრუქციულად და ფუნქციურად დაკავშირებულია საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესთან და განკუთვნილია საფრთხის შემცველი ფაქტორების თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად;

1.17 სადაზღვევო პოლისი - მზღვეველის მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ამ ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული

статуса возможностей граждан в соответствии с законодательством Грузии;

1.12 Умеренно выраженное ограничение возможностей, вызванное несчастным случаем в рабочем пространстве – непосредственно в рабочее время, предусмотренное трудовым договором и, вместе с тем, при выполнении трудовой деятельности (при выполнении сверхурочной работы), что должно быть подтверждено соответствующей документацией, такая степень телесного повреждения застрахованного в результате несчастного случая, которая квалифицируется как умеренно выраженное ограничение возможностей таким медицинским учреждением, которому присвоены полномочия установления статуса возможностей граждан в соответствии с законодательством Грузии;

1.13 Орган надзора – Служба, осуществляющая проверку соблюдения норм безопасности труда Министерства по делам беженцев с оккупированных территорий, труда, здравоохранения и социальной защиты Грузии;

1.14 Представитель работников – лицо, которое представляет у страхователя интересы работника (застрахованного) по вопросам безопасности труда;

1.15 Средства индивидуальной защиты – технические и иные средства, используемые индивидуально для сокращения или предотвращения воздействия на работника факторов, содержащих опасность;

1.16 Средства коллективной защиты – совокупность технических и инженерных средств, которые конструктивно и функционально связаны со средой производства и рабочим процессом, и предназначены для предотвращения или сокращения воздействия факторов, содержащих опасность;

1.17 Страховой полис – письменный документ, выданный страховщиком, который подтверждает



დაზღვევის გაფორმებას და რომელიც გადაეცემა დამზღვევს;

1.18 სადაზღვევო პრემია - დამზღვევის მიერ გადასახდელი დაზღვევის საფასური, რომლის ოდენობა და გადახდის წესი მითითებულია სადაზღვევო პოლისში;

1.19 საერთო სადაზღვევო პერიოდი - პერიოდი, რომლის განმავლობაში მოქმედებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევა, რომელიც მითითებულია სადაზღვევო პოლისში. დაზღვევა ძალაში შედის საერთო სადაზღვევო პერიოდის პირველი დღის 24 საათიდან და ძალაშია საერთო სადაზღვევო პერიოდის ბოლო დღის 24 საათამდე, თუ არ მოხდა წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა;

1.20 ინდივიდუალური სადაზღვევო პერიოდი - საერთო სადაზღვევო პერიოდის ფარგლებში, თითოეული დაზღვეულის (დასაქმებული) სადაზღვევო პერიოდი, რომლის განმავლობაში აღნიშნული დაზღვეული წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ითვლება დაზღვეულად და რომელიც წარმოადგენს დამზღვევთან მის დასაქმების პერიოდს (იხ. 2.2. პუნქტი);

1.21 სადაზღვევო ლიმიტი - სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული თანხა, რომელიც წარმოადგენს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ერთი დაზღვეულის სასარგებლოდ მზღვეველის მიერ გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმუმს.

1.22 ერთი შემთხვევის ლიმიტი/მასობრივი ლიმიტი - სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული თანხა, რომელიც, მიუხედავად ასეთი შემთხვევის შედეგად დაზიანებული/გარდაცვლილი დაზღვეული პირების რაოდენობისა, წარმოადგენს ერთი სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მზღვეველის მიერ გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმუმს ყველა მოქმედი სადაზღვევო დაფარვისათვის ჯამში.

თუ, ერთი სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზარალდა რამდენიმე დაზღვეული და გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა ჯამურად აჭარბებს ერთი უბედური შემთხვევის ლიმიტს, თითოეული დაზღვეული (მოსარგებლე) სადაზღვევო ანაზღაურებას მიიღებს საერთო ზარალში მისი წილის პროპორციულად;

оформление страхования, предусмотренного настоящим Договором, и передается страхователю;

1.18 Страховая премия – оплачиваемая страхователем стоимость страхования, размер которой и порядок оплаты указаны в страховом полисе;

1.19 Общий страховой период – период, в течение которого действует страхование, предусмотренное настоящим Договором и указанное в страховом полисе. Страхование вступает в силу с 24 часов первого дня страхового периода и действует до 24 часов последнего дня общего страхового периода, если действие настоящего Договора не прекращено досрочно;

1.20 Индивидуальный страховой период – страховой период каждого застрахованного (работника) в рамках общего страхового периода, в течение которого указанный застрахованный, на основании настоящего Договора, считается застрахованным, и является периодом его трудовой деятельности у страхователя (см. пункт 2.2);

1.21 Страховой лимит – сумма, указанная в страховом полисе, которая является максимумом страхового возмещения, выдаваемого страховщиком в пользу одного застрахованного в течение страхового периода;

1.22 Лимит одного случая/массовый лимит – сумма, предусмотренная страховым полисом, которая, несмотря на количество застрахованных лиц, получивших повреждения/скончавшихся в результате такого случая, в сумме является максимумом страхового возмещения, выдаваемого страховщиком по результатам одного страхового случая, для всех видов действующего страхового покрытия.

Если в результате одного страхового случая получили повреждение несколько застрахованных, и размер выдаваемого страхового возмещения в сумме превышает лимит одного несчастного случая, каждый застрахованный (пользователь) получает



1.23 სადაზღვევო შემთხვევა - წინამდებარე სადაზღვევო ხელშეკრულებით განსაზღვრული, სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დამდგარი შემთხვევა, დაზღვეულის ჯანმრთელობის დაზიანება, შესაძლებლობების შეზღუდვა ან გარდაცვალება, რომლის შედეგადაც წარმოიშევა მზღვევლის ვალდებულება გადაუხადოს მოსარგებლეს სადაზღვევო ანაზღაურება. ერთი მიზეზით გამოწვეული რამდენიმე მოვლენა (რამდენიმე პირის ჯანმრთელობის დაზიანება/შესაძლებლობების შეზღუდვა/გარდაცვალება) ჩაითვლება ერთი სადაზღვევო შემთხვევად, მიუხედავად სადაზღვევო ანაზღაურებაზე მიმართების რაოდენობისა. წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით, ამ დაზღვევით არ იფარება სადაზღვევო შემთხვევა, რომელიც გამოწვეულია დაზღვეულის ავადმყოფობით.

2. დაზღვევის მოქმედების ვადა

2.1 დაზღვევა ძალაში შედის სადაზღვევო პოლისში მითითებული თარიღის 24 საათიდან ხელშეკრულებაში მითითებული სადაზღვევო პერიოდის ბოლო დღის 24 საათის ჩათვლით ან ამ ხელშეკრულების ნებისმიერი საფუძვლით ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში შეწყვეტის დღის 24 საათის ჩათვლით. თუმცა, მზღვეველი არ აგებს პასუხს და არ წარმოემოხა ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული არცერთი ვალდებულება ისეთ შემთხვევებზე, რომელიც დადგა დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის ერთჯერადად გადახდამდე.

2.2 თითოეულ დაზღვეულთან მიმართებაში დაზღვევა (სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში) ავტომატურად იწყება შრომითი/შრომის ხელშეკრულების გაფორმების (იგულისხმება მხარეთა მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი) შემდეგ შრომითი მოვალეობების ფაქტობრივად დაწყების დღიდან და ავტომატურად შეწყდება დაზღვეულთან გაფორმებული შრომითი/შრომის ხელშეკრულების ნებისმიერი საფუძვლით შეწყვეტისთანავე ან შრომითი მოვალეობების ფაქტობრივად შეწყვეტის დღიდან. ამ პუნქტში მითითებულ ორივე შემთხვევაში, დამზღვევი ვალდებულია წერილობით (მატერიალური ან ელექტრონული ფორმით) დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს და მიაწოდოს მას დაზღვეულზე საჭირო ინფორმაცია.

страховое возмещение пропорционально его доле в общем ущербе;

1.23 Страховой случай – случай, наступивший в течение страхового периода, предусмотренный настоящим страховым Договором, повреждение здоровья застрахованного, ограничение возможностей или смерть, в результате чего возникает обязательство страховщика выплатить пользователю страховое возмещение.

Несколько явлений, вызванных одной причиной (повреждение здоровья нескольких людей/ограничение возможностей/смерть), считаются одним страховым случаем, несмотря на количество обращений за страховым возмещением.

Согласно настоящему Договору, этим страхованием не покрывается страховой случай, вызванный болезнью застрахованного.

2. Срок действия страхования

2.1 Страхование вступает в силу с 24 часов с даты, указанной в страховом полисе, по 24 часа включительно последнего дня периода страхования, указанного в Договоре, или в случае досрочного прекращения настоящего Договора по любой причине, по 24 часа дня прекращения. Однако Страховщик не несет ответственности и у него не возникает каких-либо обязательств, предусмотренных настоящим Договором, за такие случаи, которые наступили до осуществления Страхователем одноразовой выплаты страховой премии.

2.2 Страхование в отношении каждого застрахованного (в течение страхового периода) автоматически начинается после оформления трудового договора (имеется в виду документ, подписанный сторонами), со дня фактического начала выполнения трудовых обязанностей, и автоматически прерывается сразу же после прекращения по любому основанию трудового договора с застрахованным, или со дня фактического прекращения трудовых обязанностей. В обоих случаях, указанных в данном пункте, страхователь обязан письменно (в материальной или электронной форме), без промедления,



3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1 მზღვეველი ვალდებულია:

-განახორციელოს დაზღვევა წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

-სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, დაზღვეულისაგან/მოსარგებლისაგან სადაზღვევო შემთხვევის გარემოებებისა და ზიანის ოდენობის დასადგენად აუცილებელ ყველა დოკუმენტსა და სხვა ინფორმაციას წინამდებარე ხელშეკრულებებისა და მისი დანართების პირობების შესაბამისად მიღების საფუძველზე შეადგინოს ზარალის დარეგულირების აქტი და გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება მხარეთა მიერ ამ აქტის ხელმოწერიდან 30 კალენდარული დღის ვადაში;

- განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები.

-მზღვეველი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მზღვეველის მესაკუთრეების(ნომინალური მფლობელების), აღნიშნული ბენეფიციარების წილების(მათ შორის საბოლოო ბენეფიციარის, ასეთის არსებობის შეთხვევაში) შესახებ ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში, ასეთი ცვლილებების შეტყობინებიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში მიაწოდოს ინფორმაცია დამზღვევს. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე პუნქტის ეს დებულება არსებითი ხასიათისაა და მზღვეველის მიერ ამ პუნქტის მოთხოვნათა შესრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დამზღვევი უფლებამოსილია ცალმხრივად გაწყვიტოს ეს ხელშეკრულება.

4.2. მზღვეველი უფლებამოსილია:

-მოსთხოვოს დამზღვევს/დაზღვეულს/მოსარგებლეს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი და განუხრელი შესრულება;

-მოსთხოვოს დამზღვევს, გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი (პრემია) წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ვადებში;

-მოსთხოვოს ხელშეკრულების დადებისათვის აუცილებელი ინფორმაციის წარდგენა;

-უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე დამზღვევის/დაზღვეულის/მოსარგებლის მიერ, წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში;

сообщить страховщику и передать ему необходимую информацию о застрахованном.

3. Права и обязанности

3.1 Страховщик обязан:

-осуществить страхование в соответствии с условиями, определенными настоящим договором;

-при наступлении страхового случая, на основании получения от застрахованного/пользователя всех необходимых документов и другой информации для установления обстоятельств страхового случая и размера ущерба, в соответствии с условиями настоящих договоров и приложений к ним, составить акт регулирования ущерба и выдать страховое возмещение в срок 30 календарных дней с подписания сторонами этого акта;

- неуклонно и надлежащим образом выполнять взятые по настоящему договору обязанности.

- Страховщик обязан после оформления договора, в случае изменения информации о собственниках Страховщика (номинальных владельцев), долях указанных бенефициаров (в том числе конечного бенефициара, в случае его существования), в течение 5 календарных дней с извещения такого изменения предоставить информацию Страхователю. Стороны соглашаются, что данное положение настоящего пункта носит существенный характер и в случае невыполнения или ненадлежащего выполнения Страховщиком требований этого пункта, Страхователь вправе в одностороннем порядке прекратить настоящий договор.

4.2. Страховщик вправе:

- потребовать от страхователя/застрахованного/пользователя надлежащего и неукоснительного выполнения взятых по настоящему договору обязательств;

-потребовать от страхователя, уплаты страхового взноса (премия) в установленном настоящим договором порядке и сроки;

-потребовать представить информацию, необходимую для заключения договора;

-отказать в выдаче страхового возмещения в случае невыполнения или ненадлежащего выполнения страхователем/застрахованным/пользователем взятых по настоящему договору обязательств;



-არ აანაზღაუროს ის შემთხვევები, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით და მისი დანართებით და/ან ხდება გამონაკლისებში;

-იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველი ჩათვლის მიზანშეწონილად, მის მიერ უფლებამოსილი ექიმის მეშვეობით ჩაუტაროს გამოკვლევა დაზღვეულს და გაეცნოს მის ავადმყოფობის ისტორიას, ამასთან მზღვეველის წარმომადგენელი უფლებამოსილია შეამოწმოს სამედიცინო დაწესებულებაში დაზღვეულისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურება;

-მოითხოვოს ნებისმიერი სამედიცინო ინფორმაცია ექიმებისგან, რომლებმაც ჩაუტარეს დაზღვეულს სამედიცინო გამოკვლევები ან მკურნალობა;

-არ აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევა დაზღვეულის/მოსარგებლის მიერ (ან დაზღვეულის/მოსარგებლის მონაწილეობით) სადაზღვევო შემთხვევის ფაქტის, ანაზღაურების მიღებისათვის აუცილებელი დოკუმენტების გაყალბების ან ყალბი ინფორმაციის წარმოდგენის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში და ამავდროულად, ცალმხრივად გააუქმოს დაზღვევის მოქმედება ასეთ პირთან მიმართებაში;

-დაზღვეულისთვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურების გაცემის შემდეგ, მოითხოვოს შესაბამისი ხარჯების კომპენსაცია იმ პირთაგან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან დაზღვეულის ჯანმრთელობისთვის მიყენებულ ზიანზე.

შენიშვნა: 4.2 პუნქტით გათვალისწინებული მზღვეველის უფლებამოსილების განხორციელების მიზნებისათვის, დაზღვეული ან მისი მემკვიდრე ვალდებულია, მზღვეველის მოთხოვნის შემთხვევაში, მიანიჭოს მზღვეველს უფლებამოსილება, მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით, შესაბამისი დაწესებულებიდან დაზღვეულის/მემკვიდრის პერსონალური, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გამოთხოვის თაობაზე. დაზღვეულს ან მისი მემკვიდრის მიერ მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე უარის თქმის საფუძველს.

4.3. დამზღვევი ვალდებულია:

-გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი (პრემია) წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ვადებში;

-უზრუნველყოს მზღვეველისათვის ხელშეკრულების დადებისათვის აუცილებელი უტყუარი ინფორმაციის

-не возмещать случаи, которые не предусмотрены этим договором и приложениями к нему и/или происходят в исключительных случаях - подпадают под;

-в случае, если страховщик посчитает целесообразным, посредством уполномоченного им врача провести обследование застрахованного и ознакомиться с его историей болезни, наряду с этим представитель страховщика вправе проверить оказанное застрахованному в медицинском учреждении медицинское обслуживание;

-потребовать любую медицинскую информацию от врачей, которые провели медицинские обследования или лечение застрахованного;

-не возмещать страховой случай в случае выявления факта фальсификации застрахованным/пользователем (или с участием застрахованного/пользователя) факта страхового случая, необходимых для получения возмещения документов или представления ложной информации, наряду с этим в одностороннем порядке аннулировать действие страховки в отношении такого лица;

-после выдачи застрахованному возмещения расходов на медицинское обслуживание, потребовать компенсацию соответствующих расходов от лиц, ответственных за вред, нанесенный здоровью застрахованного.

Примечание: для целей осуществления правомочий страховщика, предусмотренных пунктом 4.2, застрахованный или его наследник обязан, в случае требования страховщика, наделить страховщика правом, в установленной страховщиком форме истребовать из соответствующего учреждения персональные данные застрахованного/наследника, среди них данные особой категории. Невыполнение застрахованным или его наследником указанного обязательства является основанием для отказа в выдаче страхового возмещения страховщиком.

4.3. Страхователь обязан:

-оплачивать страховой взнос (премия) в установленном настоящим договором порядке и сроки;

-обеспечить представление страховщику достоверной информации, необходимой для



წარდგენა და სადაზღვევო განაცხადის შევსება/ხელმოწერა;
-გააცნოს დაზღვეულებს/მოსარგებლეს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული დაზღვევის პირობები და ის ვალდებულებები, რომელიც აკისრია დაზღვეულს/მოსარგებლეს წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნათა შესაბამისად;
-უბედური შემთხვევის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ განახორციელოს სატელეფონო შეტყობინება ცხელ ხაზზე
-შეატყობინოს მზღვეველს დაზღვეულ პირთა სიაში ცვლილებების შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად;
-განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა მოვალეობები.
- მიაწოდოს მზღვეველს მოთხოვნილი ინფორმაცია, რაც გათვალისწინებულია წინამდებარე პირობით.

4.4. დაზღვევი უფლებამოსილია:

-მოსთხოვოს მზღვეველს დაზღვევის განხორციელება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;
-სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მოითხოვოს მზღვეველისაგან სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;
-მოსთხოვოს მზღვეველს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;
-საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაასაჩივროს მზღვეველის გადაწყვეტილება, რომელიც მას მიაჩნია საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევად.

4.5. დაზღვეული/მოსარგებლე უფლებამოსილია:

-წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნათა დაცვით წაუყენოს მზღვეველს შესაბამისი პრეტენზია;
-საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაასაჩივროს მზღვეველის გადაწყვეტილება, რომელიც მას მიაჩნია კანონმდებლობისა და წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევად;
-მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება მზღვეველისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

заклучения договора и заполнение/подписание страховой заявки;
-ознакомить застрахованного/пользователя с определенными настоящим договором условиями страховки и обязательствами, возложенными на застрахованного/пользователя в соответствии с требованиями настоящего договора;
-сразу же после получения информации о несчастном случае, незамедлительно осуществить телефонное уведомление на горячую линию
-уведомить страховщика об изменениях в списке застрахованных лиц в соответствии с настоящим договором;
-неукоснительно и надлежащим образом выполнять взятые по настоящему договору другие обязательства.
- Предоставить Страховщику запрошенную информацию, что предусмотрено настоящим условием.

4.4. Страхователь вправе:

-потребовать от страховщика осуществления страхования в соответствии с определенными настоящим договором условиями;
-при наступлении страхового случая потребовать от страховщика выдачу страхового возмещения, в соответствии с определенными настоящим договором условиями;
-потребовать от страховщика надлежащего выполнения взятых обязательств;
-В предусмотренном законодательством Грузии порядке обжаловать решение страховщика, которое он считает нарушением законодательства Грузии и настоящего договора.

4.5. Застрахованный/пользователь вправе:

- с соблюдением требований настоящего договора предъявить страховщику соответствующую претензию;
-в предусмотренном законодательством Грузии порядке обжаловать решение страховщика, которое он считает нарушением законодательства Грузии и настоящего договора;
-получить от страховщика страховое возмещение в соответствии с условиями, предусмотренными настоящим договором.



4.6. დაზღვეული/მოსარგებლე ვალდებულია:

- განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები/ვალდებულებები, რომლის შესრულება აუცილებელია სადაზღვევო ანაზღაურების გაწემისათვის.

შენიშვნა: დამზღვევის/ დაზღვეულის/ მოსარგებლის ვალდებულებები ასევე განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით (დაზღვევის პირობები - დამზღვევის/ დაზღვეულის/მოსარგებლის ვალდებულებები სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს).

5. პროფესიული საქმიანობის ან/და სამუშაო ადგილის შეცვლა

5.1. დამზღვევი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს მზღვევებს დაზღვევის მოქმედების პერიოდში დამზღვევის/დაზღვეულის პროფესიული საქმიანობის ან/და სამუშაო ადგილის ცვლილების შესახებ; ამასთან, დამზღვევისათვის/დაზღვეულისათვის ცნობილია, რომ ამგვარმა ცვლილებამ, შესაძლოა, განაპირობოს მზღვევების მიერ სადაზღვევო პრემიის ცვლილება/გადათვლა.

5.2. თუ დამზღვევმა/დაზღვეულმა არ შეატყობინა მზღვევებს დაზღვეულის პროფესიული საქმიანობის ან სამუშაო ადგილის შეცვლის შესახებ არაუგვიანეს 5 კალენდარული დღის განმავლობაში, შემთხვევის დადგომისას (იმ პერიოდში, როცა დაზღვეულს შეცვლილი ქონდა პროფესიული საქმიანობა ან/და სამუშაო ადგილი) მზღვევები თავისუფლდება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემისგან.

6. ანგარიშსწორების წესი

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევისათვის თითოეულ დაზღვეულზე დამზღვევის მიერ მზღვევებისათვის გადასახდელი სადაზღვევო პრემიის გადახდის წესი განისაზღვრება სადაზღვევო პოლისის მიხედვით.

6.2. სადაზღვევო პრემიის გადახდა ხორციელდება ერთჯერადად, პოლისის დანართი N1-ის მიხედვით, მზღვევების მიერ შედგენილი ინვოისის (მის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე) წარმოდგენის საფუძველზე, თანამშრომელთა (დასაქმებულთა) რაოდენობის ცვლილების გათვალისწინებით.

6.3. დამზღვევის მიერ მზღვევებისათვის გადასახდელი სადაზღვევო პრემიის წინსწრებით ერთჯერადად გადახდის შემდეგ, გადახდილი პრემია უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება. აღნიშნული დებულება ვრცელდება

4.6. Застрахованный/пользователь обязан:

- неукоснительно и надлежащим образом выполнять взятые по настоящему договору обязанности/обязательства, выполнение которых необходимо для выдачи страхового возмещения.

Примечание: обязательства страхователя/застрахованного/пользователя также определяются приложением к настоящему договору №1 (условия страховки – обязательства страхователя/застрахованного/пользователя в случае наступления страхового случая).

